



კონსტიტუციური შეთანხმებით ეკლესიისთვის მინიჭებული პრივილეგიები: გადასახადებისა და თავისუფალი ეკლესია და მისი ქონება

რეზიუმე

ლიკა აბლოთია

თსუ, სამართლის ფაკულტეტის

II კურსის სტუდენტი

E-mail: kobaablotia@gmail.com

სტატიაში ასახულია კონსტიტუციური შეთანხმებით ეკლესიისათვის მინიჭებული კონკრეტული პრივილეგიების სამართლებრივი ანალიზი, წინ წამოწეულია ამ პრივილეგიებთან დაკავშირებული პრობლემები, განხილულია მათთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები, მათ შორის, კოლიზია სამართლებრივ ნორმებს შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილებები და სადავო საკითხების მოგვარების შესაძლო მექანიზმები.

საკვანძო სიტყვები: კონსტიტუციური შეთანხმება, კონკორდატი, ეკლესია, პრივილეგიები, გადასახადები, ეკლესიის ქონება, საგადასახადო კოდექსი, კონსტიტუცია, რელიგია, ნორმატიული აქტები, იერარქია, სახელმწიფო.

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, აგრეთვე ცნობილი როგორც კონკორდატი არის საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული ხელშეკრულება, რომელიც დადებულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წელს. კონსტიტუციური სამართლის წყაროთა იერარქიაში კონსტიტუციური შეთანხმება კონსტიტუციის/კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ მოდის და კოლიზიისას უპირატესი იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, ორგანულ კანონებთან, კანონებთან და მათთან გათანაბრებულ აქტებთან სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციურ შეთანხმებას ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. განსაზღვრულია მეორე მხარეც - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების ძალაში შესვლასთან დაკავშირებული პროცედურები ვატი-

კანის კონკორდატის მიხედვით გაკეთდა. კონსტიტუციური შეთანხმება მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/5, ხოლო ეკლესიის მხრიდან წმინდა სინოდი. კონსტიტუციური შეთანხმების არაერთი მუხლი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს მაგ: სასულიერო პირების სამხედრო ვალდებულებებისგან განთავისუფლება, დიდი საეკლესიო დღესასწაულებისა და კვირის დასვენების დღეებად გამოცხადება, ჯვრისწერის აღიარება, გადასახადებისგან განთავისუფლება, კათოლიკოს პატრიარქის იმუნიტეტი და სხვა... ყველა ამ პრივილეგიათაგან არის უმნიშვნელოვანესი და თითოეულს აქვს თავისი სიმბოლური თუ ფუნქციონალური დატვირთვა, მაგრამ ამ სტატიაში გამოყოფილია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და დღემდე განხილვადი პრივილეგიები, რომლებშიც ალბათ ყველაზე კარგად ჩანს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ხასიათი და რომელიც დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, კერძოდ - ეკლესიის ქონება და მისი გადასახადებისგან გათავისუფლება.

გადასახადებისგან გათავისუფლება

კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად:

„ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია - მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისგან.“

კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილი ეს პრივილეგიები, არაეკონომიკური მიზნით საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული მიწის გადასახადებისგან გათავისუფლების გარდა, საგადასახადო კოდექსის საშუალებით არის იმპლემენტირებული.



ზოგადად, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ორი ძირითადი ხაზი აღინიშნება: ერთი მხრივ, სახელმწიფო ცდილობს, რომ მაქსიმალურად არ ჩაერიოს რელიგიურ საკითხებში და შეამციროს ზედამხედველობა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს ტაძრებისა რესტავრაცია/რეკონსტრუქციის საკითხებში, საგადასახადო შეღავათების თუ ეკლესიისთვის ხელსაყრელი პირობების დადგენაში. სახელმწიფო უფლებამოსილია კონკრეტულ ან ყველა რელიგიურ გაერთიანებას საგადასახადო შეღავათები დაუდგინოს, ამასთან აუცილებელია, ამ ყველაფერმა არ მიიღოს დისკრიმინაციული ხასიათი. ევროკომისიამ დისკრიმინაციად არ სცნო კონკრეტული რელიგიური გაერთიანებებისთვის შეღავათების მინიჭების ფაქტი, რადგან იგი სახელმწიფოს მიერ სამართლებრივად აღიარებული ვალდებულებების შესრულებით იყო განპირობებული. საქართველოს საგადასახადო კოდექსი რელიგიურ საქმიანობას არ მიიჩნევს ეკონომიკურ საქმიანობად. შესაბამისად, ნებისმიერი რელიგიური ორგანიზაცია, ეკლესიის მსგავსად, რელიგიური საქმიანობის ფარგლებში, გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. ამასთან, რელიგიურ საქმიანობას უტოლდება რელიგიური ლიტერატურის ან ამავე დანიშნულების საგნების წარმოება, რეალიზაცია-გავრცელება, ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი საღსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობისთვის. საგადასახადო კანონმდებლობის სისტემური ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური გაერთიანებები მოგების გადასახადისგან თავისუფლებიან. საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მოგების გადასახადით იბეგრებიან საწარმოები, რომლებიც თავისი არსით განსხვავდებიან ორგანიზაციის სტატუსის მქონე რელიგიური გაერთიანებებისგან. ამის მიუხედავად, კოდექსი მაინც გამოყოფს საქართველოს საპატრიარქოს. რეგულირების თანახმად, მოგების გადასახადისგან თავისუფალია ეკლესიის მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, ხატების, სანთლების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება. მართალია, ეკლესია ისედაც თავისუფალია მოგების გადასახადისგან, კანონმდებელი შეღავათს უკეთებს იმ სუბიექტებს, რომლებიც საპატრიარქოსთვის ამზადებენ ზემოთ ხსენებულ ნივთებს.

მოგების გადასახადის მსგავსად, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ გადასახადს წარმოადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). დღგ-სგან თავისუფალია

საქართველოს საპატრიარქოს მიერ ღვთისმსახურების საგნების იმპორტი, რომლებიც მხოლოდ რელიგიური მიზნებით გამოიყენება. ამ შეღავათით სხვა რელიგიური გაერთიანებები არ სარგებლობენ. ამასთან, საქართველოს საპატრიარქო შედის ე.წ. „ოქროს სიაში“ და მას უფლება აქვს, საბაჟოზე საქონლის შემოტანა-გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებით და შეღავათებით. ასევე, დღგ-სგან გათავისუფლებულია საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია, მოხატვა. ამასთან დაკავშირებით, დღგ-სგან გათავისუფლებულნი არიან სხვა სუბიექტებიც. ეკლესია გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან (რელიგიური დანიშნულებით), დღგ-სგან. საგადასახადო კოდექსი კი არცერთ რელიგიურ ორგანიზაციას არ ათავისუფლებს მიწის გადასახადისგან, რაც კოლიზიაში მოდის კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტთან, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ათავისუფლებს ეკლესიას სახელმწიფო გადასახადისგან. რა თქმა უნდა, იერარქიულად კონსტიტუციური შეთანხმება კოდექსზე მაღალი რანგისაა, შესაბამისად მოქმედებს მისი დანაწესი, თუმცა უკეთესი იქნება, საგადასახადო კოდექსი კონკორდატთან შესაბამისობაში მოვიდეს, რათა ეს არ გახდეს დავის საფუძველი.

საქართველოს კონკორდატი საგადასახადო შეღავათებს უკეთებს ყველა რელიგიურ ორგანიზაციას, თუმცა აშკარაა ეკლესიის უპირატესობა, ამასთან, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, კონკორდატის დანაწესი მიწის გადასახადისგან ათავისუფლებს ეკლესიას, რაც კოლიზიაში მოდის საგადასახადო კოდექსის დანაწესთან, ეს „ბუნდოვანი“ მოწესრიგება და ე.წ. „მიკერძოებული“ დამოკიდებულება შეიძლება გახდეს დავისა და კონფლიქტის გამომწვევი საფუძველი, რისი გამოცდილებაც უახლოეს წარსულში უკვე გვქონდა. ამიტომაც საჭირო კონკორდატისა და საგადასახადო კოდექსის თანხვედრაში მოყვანა, ამასთან გასათვალისწინებელია უცხოური პრაქტიკაც.

ეკლესიის ქონება

საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების მეშვიდე მუხლის მიხედვით:

სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს) მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული. ხოლო მეთერთმეტე მუხლის პირველი



ნაწილის თანახმად: სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტიური ფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე.

ეკლესიისთვის ქონების გადაცემისა და დიდძალი შეწირულობის პრაქტიკა IV საუკუნიდან მოდის. ჯერ კიდევ მილანის ედიქტით, ქრისტიანული სამლოცველოები, და წმინდა ადგილები ქრისტიანებს უსასყიდლოდ გადაეცათ. მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია, რომ მას აქვს უფლება, ფლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას, როგორც ნებისმიერი სხვა პირი, კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნული დებულებით, სახელმწიფო ახორციელებს რესტიტუციის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის პერიოდში ეკლესიისთვის ჩამორთმეული რელიგიური დანიშნულების უძრავ ქონებასთან მიმართებით. XIX-XX საუკუნეში, როგორც პირველი რესპუბლიკის, ისე ოკუპაციის პერიოდში მართლმადიდებელ ეკლესიას ქონების დიდი ნაწილი ჩამოერთვა. მათი დაბრუნების პროცესი XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. 1990 წლის 12 აპრილს ოს სსრ მინისტრთა საბჭომ მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო, რომლითაც ეკლესიას ქონება გადასცა. დადგენილებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა საკულტო ნაგებობა (თავისი უძრავ-მოძრავი ქონებით) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად იქნა აღიარებული. შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს დაევადათ ქონების საპატრიარქოსთვის გადაცემა, ამ უკანასკნელს კი მიენიჭა უფლება, დამოუკიდებლად აღეწერა ეკლესიები და მათი ქონება, ეკლესიაში არსებული წესებისა და ტრადიციების შესაბამისად. კონსტიტუციურმა შეთანხმებამ კიდევ ერთხელ მართლმადიდებლური ტაძრები, ნანგრევები, მონასტრები და მიწები, რომლებზეც ისინი მდებარეობს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებადაღიარა. სამწუხაროდ, ამ პროცესმა, ერთგვარად, უმართავი ხასიათი კი მიიღო და სერიოზული პრობლემები გამოიწვია. პრობლემები შეეხება როგორც საკულტო ნაგებობების, ისე მიწებისა და სხვა მატერიალური ქონების გადაცემას. დღეის მდგომარეობით მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სიმბოლურ ფასად (1 ლარად) ან სრულიად უსასყიდლოდ დიდი რაოდენობით უძრავი ქონება და ათასობით პექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთია გადაცემული. სახელმ-

წიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მხოლოდ 2012 წლის 17 სექტემბრიდან 2015 წლის 19 აგვისტომდე მართლმადიდებელ ეკლესიას 64 ერთეული სხვადასხვა სახის ქონება გადაეცა. მნიშვნელოვანია ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 3 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილება. საქმე ეხებოდა სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ ქონების გადაცემის შესაძლებლობას მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის (სახელმწიფო ქონების შესახებ) საქართველოს კანონის მე-6 მესამე პრიმა მუხლის პირველ პუნქტს) საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნორმა შეუსაბამოა კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, რომელიც განამტკიცებს კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა რომ ამ კონკრეტულ ურთიერთობაში (ქონების უსასყიდლოდ გადაცემა სახელმწიფოს მხრიდან) ყველა რელიგიური ორგანიზაცია არის არსებითად თანასწორი სუბიექტი. სადაო ნორმა კი ადგენს დიფერენცირებას არსებითად თანასწორ პირებს შორის, რის გამოც სასამართლომ აღნიშნული ნორმა დისკრიმინაციულად ცნო. ასევე უნდა აღინიშნოს რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გადაავადა გადაწყვეტილების აღსრულება 2018 წლის 31 დეკემბრამდე, რაც იმას გულისხმობს, რომ სასამართლომ საქართველოს პარლამენტს დაუტოვა შესაძლებლობა, თავად შეასწოროს ხარვეზული ნორმები იმგვარად, რომ იგი იყოს საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისი. საქართველოს პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს, არსებული პრივილეგიები მოუხსნას მართლმადიდებელ ეკლესიას, თუ განაგრძოს ისინი ყველა რელიგიურ ორგანიზაციაზე და ამ გზით აღმოფხვრას აქამდე არსებული უთანასწორობა.

დასკვნა

კონსტიტუციური შეთანხმება ნორმატიულ აქტთა იერარქიაში კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ უმაღლეს საფეხურზე მდგომი დოკუმენტია. კონკორდატის არსებობა ჩვენს ქვეყანაში თავისთავად განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს, რადგან ეკლესია საქართველოში არაა სახელმწიფოს „დანამატი“, არამედ კონკორდატით, ფაქტობრივად, სეკულარიზმის მოდელია დამკვიდრებული, რომელიც გულისხმობს, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნას, თუმცა ამავე დროს, ურთიერთთანამშრომლობასაც. ამ სტატიის მიზანი იყო ამ შეთანხმების კონკრეტული საკითხების სიღრმისეული ანალიზი, ძველი თუ ახალი პრობლემების, ხარვეზებისა და გამოწვევ-



ბის ჩვენება და კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად გამოსავლის ძიება. საბოლოოდ, კონსტიტუციური შეთანხმება ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, თუმცა

რიგი საკითხები საჭიროებს გადახედვას, კონკრეტული კანონები კი უნდა მოერგოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, რათა არ მოხდეს კოლიზია მათ შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გეგენავა დ. - სადოქტორო ნაშრომი თემაზე: „კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ეკლესიასახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი ფორმა და მისი აღსრულება საქართველოში“.

2. დემეტრაშვილი, ა. კობახიძე ი. - კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2010

3. კორკელია კ. - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბ. 2004

4. ჩიკვაძე დ. - საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების კომენტარები, თბილისი, 2005

5. **Doe N.** - Christian Law, Contemporary Principles, New York, 20135

6. **Temperman J.** - State-Religion Relationship and Human Rights, Towards a Right to Religiously Neutral Governance, Leiden-Boston, 2010, 278

7. **Tsintsadze Kh.** - Legal Aspects of Church-State Relations in Post-Revolutionary Georgia, “Brigham Young University Law Review”, #3, 2007

8. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი

9. საქართველოს კონსტიტუცია

10. საქართველოს საგადასახადო კოდექსი

11. საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის <http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-1-811-ssip-saqartvelos-evangelur-baptisturi-eklesia-ssip-saqartvelos-evangelur-luteruli-eklesia-ssip-sruliad-saqartvelos-muslimta-umaglesi-sasuliero-sammartvelo-ssip-daxsnil-qristianta-sagvto-eklesia-saqartveloshi-da-ssip-saqartvelos-saxarebis-rwmenis-e.page1/811,№1>

PRIVILEGES GRANTED BY THE CONSTITUTIONAL AGREEMENT: A CHURCH FREE OF TAXES AND ITS PROPERTY

LIKA ABLOTIA

II-nd course student at Faculty of Law of TSU,

E-mail: kobaablotia@gmail.com

Summary

The article reflects a legal analysis of privileges granted to church according to Constitutional agreement, Problems related to these privileges have been raised, as well as the legal aspects related to them, including the collision between the legal norms, the latest decisions of the Constitutional Court and the possible mechanisms for resolving disputes.